



პრესრელიზი

კომპანია „საქნახშირი“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და სამძიმარსა და თანადგომას უცხადებს უბედური შემთხვევის გამო დაღუპული მეშახტეების ოჯახებს.

მიუხედავად კომპანიის ძალისხმევისა, ზედმიწევნით შესრულდეს შრომის უსაფრთხოების ნორმები, ამ კონკრეტულ შემთხვევაში სამწუხაროდ ტრაგედიის თავიდან აცილება ვერ მოხერხდა.

შექმნილია მოკვლევის ჯგუფი, მიმდინარეობს საგამოძიებო ღონისძიებები, რომელიც დაადგენს ამ ტრაგიკული შემთხვევის გამომწვევ მიზეზებს. კომპანიას მიაჩნია, რომ, გამოძიების დასრულებამდე და ტრაგედიის გამომწვევი რეალური მიზეზების დადგენამდე არ უნდა მოხდეს ამ თემით სპეკულირება.

თავის მხრივ, „საქნახშირი“ სრულ მზად ყოფნას გამოთქვამს ითანამშრომლოს გამოძიებასთან და ხელი შეუწყოს პროცესის გამჭვირვალედ წარმართვას. კიდევ ერთხელ გულწრფელად გამოვხატავთ თანაგრძნობას ამ მძიმე ადამიანური ტრაგედიის გამო. კომპანია გვერდით უდგას დაღუპული მეშახტეების ოჯახებს და მათ ახლობლებს.

შპს "საქნახშირი ჯი-აი-ჯი" დაარსდა 2006 წლის აპრილში. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ქვანახშირის მოპოვებითი სამუშაოები და შემდგომი გამდიდრება. "საქნახშირი ჯი-აი-ჯი" საქართველოში ქვანახშირის აქტივების ძირითადი მფლობელი და ერთადერთი მომპოვებელი კომპანიაა.

კომპანიის ძირითად აქტივებს წარმოადგენს მიძიგურის და მინდელის სახელობის მადაროები, რომლებიც მდებარეობს ტყიბული-შაორის საბადოების ტერიტორიაზე.

